კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
8 იანვარი
№ 6 (17651)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

რთული ამოცანების წინაშე

განვლილი წელი საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისათვის მეტად რთული და მძიმე აღმოჩნდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ნედლეულის ბაზების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანით, რასაც, ცხადია, თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენმა საწარმოებმა ვერ მიიღეს 110 ათასზე მეტი კუბური მეტრი მრგვალი ხე-ტყე და სხვა მრავალი ისეთი ნედლეული, რომელსაც პროდუქციის დაგეგმილი ოდენობით გამოშვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აღმოვჩნდით რა ურთულეს პირობებში, მომარაგების მექანიზმის თანდათანობითი გარდაქმნის, ნედლეულით უზრუნველყოფის რამდენიმე ცენტრალიზებული სამსახურის შექმნის და ყველა შესაძლო ღონისძიების მეოხებით მაინც უზრუნველვყავით გასული წლის სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულება. ზრდის ტემპმა სასაქონლო პროდუქციაში 102,5 პროცენტი შეადგინა, საკუთრივ ავეჯის წარმოებაში 102,4 პროცენტი.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა დარგმა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საქმეში. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა სასაქონლო პროდუქციის მთელი მოცულობის 16,6 პროცენტი შეადგინა, ავეჯის მოცულობაში — 22 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 პროცენტისა, რაც საშუალო საკავშირო დონეს აღემატება.

მიუხედავად ამ მაჩვენებლებისა, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ოთხი წლის შედეგებით ხუთწლიან გეგმას მაინც ჩამოვრჩებით 4,5 პუნქტით.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა რადაც უნდა დაგვიჯღდეს მივაღწიოთ მეათე ხუთწლედის მიჯნას, ანუ პროდუქციის გამოშვება 45,2 პროცენტით გავადიდოთ. ამისათვის კი საჭიროა წელს წარმოების მოცულობა 12,9 პროცენტით გავზარდოთ და მატების შარშანდელ საგეგმო მაჩვენებელს სამჯერ გადავამეტოთ. ამისთვის 1980 წელს 126 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია უნდა გამოეუშვათ და ამით 14 მილიონი მანეთით გადავაჭარბოთ შარშანდელ მაჩვენებელს.

ესოდენ შთამბეჭდავად გაზრდილი გეგმების შესასრულებლად სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა. უწინარეს ყოვლისა, მომარაგების სამსახურში გატარებული სიახლეების გარდა, ავამოქმედეთ ახალი სიმძლავრეები. წელს შარშანდელთან შედარებით ავეჯის გამოშვების ზრდის ტემპი 16,8 პროცენტით მატულობს, რაც 90 მილიონი მანეთის ავეჯის დამზადების საშუალებას მოგვცემს. მაგრამ ეს მოხდება არა მარტო ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით, არამედ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი გაღრმავების გზითაც. უწინარეს ყოვლისა განხორციელდება ტექნოლოგიური სპეციალიზაციის პირველი რიგის სამუშაობა.

წლეულს მთელი რიგი სიახლეები გვაქვს გათვალისწინებული: დაინერგება დეფიციტური მერქნის შემცველი პოლიმერული და სხვა პროგრესული მასალისაგან დამზადებული ახალი კონსტრუქციის ავეჯი, რომლის ხვედრითი წილი 22 პროცენტს მიაღწევს. განვახორციელეთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები ნედლეულისა და მასალების მომჭირნედ ხარჯვისათვის.

ქუთაისის ხის დამმუშავებელი კომბინატის რბილი ავეჯის საამქროში ინერგება ცივი ფორმირების პენპოლიურეთანი, რომელსაც ავეჯის რბილი დეტალების დასამზადებლად იყენებენ, რაც 2000 კუბური მეტრი ნედლეულის ეკონომიას მოგვცემს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს. ამჟამად პარკეტის გამოსაშვებად ძირითადად ვიყენებთ სხვა ეკონომიკური რაიონებიდან შემოზიდულ არყის ხეს და წიფვიან მერქანს, რომლის პარკეტი მდარე ხარისხისაა და მოთხოვნილებაც მასზე საკმარისია. ამ მასალებით დამზადებული პარკეტის ხარისხის გასაუმჯობესებლად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა გაიზარდოს მისი გამძლეობა. ჩვენი დარგის მეცნიერები მუშაობენ ამ ჯიშების მერქნის მოდიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის ხის დამმუშავებელი მრეწველობა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის მაჩვენებელს. ამ მხრივ მართალია ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. 1979 წელს ტაგანროგის ... ხის ... ...

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი დღის ფურცელზე

პარტიისა და ხალხის ურღვევი კავშირი

(დასასრული)

პუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

იაროსლავლში გაიმართა კიროვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **პეტრე ნილის ძე დემიჩევი** და მიმართა თხოვნით კენჭი იყაროს მათს ოლქში.

გაიმართა მოსკოვის ოლქის ელექტროსტალის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის ფედერაციის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

გაიმართა მინსკის ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პეტრე მირონის მე მაშეროვი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

სარატოვის საავიაციო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა საქარხნო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **პეტრე ნილის ძე დემიჩევი** და მიმართა თხოვნით კენჭი იყაროს მათს ოლქში.

გაიმართა მოსკოვის ოლქის ელექტროსტალის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის ფედერაციის, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვასილ ვასილის ძე კუზნეცოვი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

ლიპეცკის მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა ნოვოლიპეცკის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვლადიმერ ივანეს ძე დოლგიხი** და მიმართა თხოვნით კენჭი იყაროს მათს ოლქში.

ვორონეჟში გაიმართა რკინიგზელთა საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირი, რომელმაც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ვასილის ძე ზიმიანინი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს აღნიშნულ ოლქში.

როსტოვში გამართულ პროლეტარის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საარჩევნო თათბირმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კონსტანტინე ვიქტორის ძე რუსაკოვი** და სთხოვა მას კენჭი იყაროს მათს ოლქში.

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

რესპუბლიკაში გრძელდება **საარჩევნო კრებები, რომლებიც ეძღვნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. კრებები მიმდინარეობს 3. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით.**

თბილისი. თბილისის საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ ფაბრიკა „ივერიაში“ გაიმართა საარჩევნო კრება, რომელმაც დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 22 ჟოთაისის საარჩევნო ოლქში დასახელოს საწარმოს მოწინავე მუშა **დალი დურმიშხანის ასული სიდამონიძე.**

ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი მწერალი **გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილი** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 5 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელა თბილისის სავაგონო დეპოს კოლექტივმა საარჩევნო კრებაზე.

თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 60 ბახტრიონის საარჩევნო ოლქში დასახელა ამ საწარმოს მუშა **ანტონინა ივანეს ასული მოზგოვაია.**

თბილისის № 5 საქალაქო კლინიკური საავადმყოფოს კოლექტივმა თავის საარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის № 31 მარქსის საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლანდია.**

სოხუმი. საარჩევნო კრების მონაწილეებმა, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალში გაიმართა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ვილენ ისიდორეს ძე ალავიძე.**

ოჩამჩირე. სოფელ კოლმეურნეობა „კოლოლის“ მოწინავე მეთამბაქოე **ლუდმილა მაგრეშის ასული ბალანცია** დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ოჩამჩირის რაიონის № 390 ტამიშის საარჩევნო ოლქში კოლმეურნეობაში გამართულმა საარჩევნო კრებამ.

ბათუმი. ბათუმის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 407 ჯაფარიძის საარჩევნო ოლქში დასახელა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იური გედევანის ძე უნგიაძე.**

ზესტაფონი. არგვეთის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობის მეშენებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე გადაწყვიტეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 241 ქვედა საქარის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტი **ავთანდილ პარმენის ძე გურეშიძე.**

ზუგდიდი. ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივის საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ზუგდიდის № 329 ლენინის საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **გელა გიორგის ძე ლეჟავა.**

საარის მხარის ახალგაზრდობის დელეგაცია საქართველოში

თბილისში ჩამოვიდა პროგრესული გერმანელი ახალგაზრდობის დელეგაცია, რათა მეგობრული კონტაქტი დამყაროს საქართველოს კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაცია მიიღეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტავამ, რომელიც მიესალმა გერმანელ სტუმრებს, უთხრა მათ რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციის საქმიანობის, შესახებ.

გერმანიის სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის საარის სამეფო თავმჯდომარემ ბ. კლეტნერმა დელეგაციის წევრების სახელით მხურვალე მადლობა გადაიხადა საქართველოში მოწვევისათვის და ამასთანავე აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება საბჭოთა და პროგრესული გერმანელი ახალგაზრდობის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე.

სუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ორჯონიკიძე და საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შუბლაძე. მიაღწიეს მორიგებას საქართველოს და საარის მხარის ახალგაზრდობის დელეგაციების გაცვლის და სხვა ღონისძიებების შესახებ.

კანადის კომპარტიის ყრილობაზე

ტორონტო, 7 იანვარი. აქ მუშაობას განაგრძობს კანადის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. კანადელ კომუნისტთა ფორუმზე დიდი ყურადღება ეთმობა ამჟამად არსებული საერთაშორისო ვითარების ანალიზს.

კანადის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა უ. კაშტანმა, რომელმაც საანგარიშო მოხსენება გააკეთა, აღნიშნა, რომ აქტიურდებიან რეაქციული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ცდილობენ ბოლო მოუღონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას და აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, რათა მსოფლიოს დაუბრუნონ „ცივი ომის“ ხანა. ამის მაგალითია ანტისაბჭოური კამპანია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გააჩაღა იმასთან დაკავშირებით, რომ · ავღანეთის მთავრობამ არაერთგზის სთხოვა საბჭოთა კავშირს დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ ამ დახმარებას იგი უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, ხაზი გაუსვა უ. კაშტანმა.

კანადის კომპარტიის ხელმძღვანელმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საძრახისი მოქმედებები. შეერთებული შტატები, თქვა მან, ყოველგვარ ძალადობას მიმართავს თავისი ნატოელი მოკავშირეების, კერძოდ, კანადის წინააღმდეგ და ცდილობს მიაღებინოს მათ სსრ კავშირზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების კურსი. ამ საშიშ თამაშს, აღნიშნა მომხსენებელმა, საერთო არა აქვს რა კანადის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებთან. ამგვარი კურსი უშუალოდ დაკავშირებულია ამერიკის იმპერიალიზმის ცდებთან ხელთ იგდოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნავთობის სიმდიდრე ეგვიპტისა და ისრაელის მმართველი წრეების ხელშეწყობით.

კანადის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მოუწოდა ყველა კანადელს მოსთხოვოს მთავრობას, რომ კანადა გაემიჯნოს ამ უღირს თამაშს, რომელიც ძირს უთხრის დაძაბულობის შენელებას და ეწინააღმდეგება კანადელი ხალხის ინტერესებს.

ყრილობა შეუდგა საანგარიშო მოხსენების განხილვას, აგრეთვე მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება კანადის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი, რომელიც აქ წაიკითხეს. საბჭოთა დელეგაციამ კანადელ კომუნისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან საჩუქრად გადასცა წითელი დროშა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

მზადდება პოლიტიკური სპექტაკლი

ლონდონი, 7 იანვარი. დღეს ბელფასტში იხსნება ინგლისის მთავრობისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლთა კონფერენცია. მათ უნდა განიხილონ ინგლისის წინადადებები ოლსტერისათვის უკიდურესად შეზღუდული ავტონომიის მინიჭების შესახებ, რომლის დროსაც შენარჩუნებული იქნება ლონდონის კონტროლი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრისადმი, მათ შორის ფინანსების, კანონიერებისა და წესრიგის დაცვისადმი.

უაიტჰოლში შემუშავებულმა პროექტმა სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია ჩრდილოეთ ირლანდიაში, და ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებას როდი გამოუთქვამს კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მას ყველაზე მხურვალედ დაუჭირა მხარი პროტესტანტ ექსტრემისტთა ლიდერმა იან პეისლიმ. მან აღნიშნა, რომ თუ ბელფასტის შეხვედრაზე შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, „ლონდონი აპირებს ოლსტერს თავს მოახვიოს თავისი გადაწყვეტილება“.

თითქოს ასეთი განწყობილების პირობებში საჭირო აღარ იყო რაიმე კონფერენციის მოწვევა, მაგრამ იგი ინგლისის მთავრობას სჭირდება, რათა შექმნას ჩრდილოეთ ირლანდიაში „პოლიტიკური ინიციატივის“ მოჩვენებითი შთაბეჭდილება.

რეალურ პოლიტიკურ ინიციატივაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ლონდონი კვლავ ადგას პროტესტანტი ულტრების დაშოშმინების ადრინდელ პოლიტიკას.

ჯ. კარტერის გამოსვლა ტელევიზიით

ვაშინგტონი, 5 იანვარი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა ტელევიზიით მიმართა ქვეყანას, როგორც მან განაცხადა, „იმასთან დაკავშირებით, რომ მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში უაღრესად მნიშვნელოვანია და სწრაფად იცვლება“. ამ მიმართვაში კარტერმა ჩამოაყალიბა ამერიკის ადმინისტრაციის ვერსია ირანსა და ავღანეთში მომხდარი უკანასკნელი ამბების გამო.

როგორც მან თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი ირანის ამბებთან დაკავშირებით მხოლოდ ის არის, რომ „დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების გრძელვადიანი ინტერესები“, და „სისხლის დაუღვრელად“ მიაღწიოს ამერიკელ მძევლთა განთავისუფლებას. ამასთან პრეზიდენტმა არჩია არაფერი ეთქვა, იმაზე რომ თავი მოუყარეს ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამხედრო-საზღვაო ძალებს ირანის ნაპირების უშუალო სიახლოვეს სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის ზონაში. მას კრინტიც კი არ დაუძრავს იმაზე, თუ როგორ ეკიდება ამერიკის შეერთებული შტატები ირანის კანონიერ მოთხოვნებს დამბოლილი შაჰის დაბრუნებისა და მის მიერ ნაძარცვი და ამერიკის ბანკებში შენახული სიმდიდრის ირანელი ხალხისათვის დაბრუნების შესახებ.

პრეზიდენტმა წამოაყენა თავიდან ბოლომდე ყალბი თეზისი იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირის მხრივ მომდინარეობდეს რაღაც „საფრთხე ირანისადმი“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სსრ კავშირი არ ერეოდა და არც აპირებს ჩაერიოს ირანის საშინაო საქმეებში. და თუ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მაინც აყენებს ასეთ თეზისს, ეს მოწმობს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ესწრაფვის საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაცილოს ირანზე აშკარა და უხეში ზეგავლენის პოლიტიკას, რასაც ამერიკის იმპერიალიზმი მიმართავს მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა მისი გეგმები, რომ ეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ დანამატად გადაექციათ. როცა ავღანეთის ამბებს შეეხო, კარტერმა ილაპარაკა რაღაც „ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შესახებ“.

მან ცილი დასწამა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთისათვის მის მიერ გაწეულ დახმარებას. კარტერი ეცადა შეექმნა ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს სსრ კავშირი რაღაც სხვა მიზნებს ისახავდეს, გარდა იმისა, რომ მხარი დაუჭიროს ავღანეთს მოიგერიოს გარეშე აგრესია, რომელიც ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. იმის ნაცვლად, რომ ეს აგრესია შეწყვიტონ და თვითონ შეუწყონ ხელი ამ რეგიონში ვითარების ნორმალიზაციას, პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ პაკისტანს გამოუყო ახალი დიდი ასიგნებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ავღანეთის ტერიტორიაზე გარედან შეჭრის წახალისებისათვის.

ავღანეთის უკანასკნელი ამბებისადმი ამერიკის ადმინისტრაციის გააფთრებული რეაქცია იმით კი არ არის გამოწვეული, თითქოს ზრუნავდეს „დამოუკიდებელი მუსლიმანი ხალხისათვის“, არამედ იმით, რომ ჩაიშალა ანტისაბჭოთა სამხედრო პლაცდარმად, ამ რაიონში ამერიკის პოლიტიკის საყრდენ პუნქტად ამ ქვეყნის გადაქცევის გეგმები. ამაკე მიზეზით ამერიკის შეერთებული შტატები მისტირის იმას, რომ ავღანელმა ხალხმა თავიდან მოიშორა რეაქციის დამჭაში, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ჰ. ამინი, უზურპატორი, რომელმაც დაამხო და მოსპო კანონიერი პრეზიდენტი ნ. მ. თარაკი. ჯალათ ამინს, რომელმაც ათასობით პატიოსანი ავღანელი მოქალაქე გაჟლიტა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავის კალთას აფარებს.

ავღანეთში სსრ კავშირის „აგრესიული აქციის“ შესახებ თავისი მონაბაზრობი ჯ. კარტერმა გამოიყენა როგორც საბაბი იმისათვის, რომ ვაშინგტონს მიეღო მთელი რიგი ცალმხრივი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის შეკვეცა. მან დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება, გადადოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაცია, გამოაცხადა საბჭოთა კავშირში მთელი რიგი საქონლის, მათ შორის მარცვლეულის ექსპორტის შემცირების შესახებ, და გადადო კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობის დარგში მიღწეულ მორიგებათა განხორციელება.

ეს ღონისძიებანი, რომლებიც წასესხებია „ცივი ომის“ არსენალიდან, არის შეერთებული შტატების მიერ სსრ კავშირთან ურთიერთობაში ნაკისრი ვალდებულებების უხეში დარღვევა და ადასტურებს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია უგულებელყოფს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის პოზიტიური განვითარების ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ავღანეთის ახლანდელ ამბებამდე დიდი ხნით ადრე აშკარად გამოაცხადეს თავიანთი პრეტენზიები მსოფლიო ჟანდარმის როლზე და ამისათვის დაიწყეს ინტერვენციონისტული „სწრაფი რეაგირების კორპუსის“ შექმნა. მან ნატოს ქვეყნებს თავს მოახვია დასავლეთ ევროპაში ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების გეგმები, გამოაცხადა, რომ ახორციელებს მასშტაბით უმაგალითო შეიარაღების ზრდის ახალ პროგრამას.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა და მისი დამქაშების სწორედ ეს იმპერიალისტური მოქმედება უქმნის საფრთხეს მშვიდობას. და კარტერის დეკლარაცია საერთაშორისო უშიშროების მაღალი იდეალების „ერთგული ვარო“, ხალხებს ვერ დაუმალავს საგარეო-პოლიტიკური კურსის აგრესიულ მილიტარისტულ არსს, რომელსაც იგი ადგას.

ოგიექტივშია ავღანეთი

ავღანელი ხალხი აღფრთოვანებით ხვდება აპრილის რევოლუციის დასაცავად მიღებულ გადამჭრელ ღონისძიებებს. ზემო სურათზე ხელდავთ ქაბულის მცხოვრებლებს, რომლებიც ეცნობიან გაზეთ „აპრილის რევოლუციის სიმართლის“ პირველ ნომერს; ქვემო სურათზე: ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საპატიმროებიდან გათავისუფლებული ავღანელ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი.

საკადრისი ფოტოქრონიკა.

ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების, მისი მოკავშირეებისა და ჩინეთის მიერ თავს მოხვეული ეგრეთ წოდებული „ავღანეთის საკითხის“ განხილვასთან დაკავშირებით ნიუიორკში, ჩამოვიდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შაჰ მუჰამედ დოსტი. ჟურნალისტთა ჯგუფისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

27 დეკემბერს ავღანეთში ხელისუფლება შეიცვალა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ახალი მთავრობა პრემიერ-მინისტრ ბაბრაკ ქარმალის მეთაურობით. ქვეყანაში ვითარება ნორმალურ კალაპოტში დგება. ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოახდინეს თვით ავღანელებმა, არმიამ, როშელსაც მხარი დაუჭირეს მოსახლეობის ფართო ფენებმა.

ამნისტია ქვეყანაში

ქაბული, 7 იანვარი. ადგილობრივმა პრესამ გაავრცელა ტექსტი განცხადებისა პოლიტიკურ პატიმართა საყოველთაო ამნისტიის შესახებ, რომელიც გააკეთა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაკ ქარმალმა პარტიის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ჰაფიზულა ამინმა დაამატემრა სახალხო-დემოკრატიული პარტიის ათასობით წევრი, მუშები, გლეხები, ინტელიგენციისა და სამოდელოების წარმომადგენლები, რომლებიც ტირანისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდების წაყენებისა და მხეცური წამების შემდეგ იგი ბრძანებდა ჯგუფიდად დაეხვრიტათ ისინი, შექმნა ქვეყანაში ტერორის სულისშემხუთველი ატმოსფერო, პრაქტიკულად ქვეყანა უზარმაზარი ციხედ გადააქცია.

ბაბრაკ ქარმალმა ხაზი გაუსვა, რომ ამინის ბანდის დამანაშავეთა უმნიშვნელო რიცხვის გარდა, კანონიერი სასამართლოს განაჩენის გარეშე არავის არ დაუპატიმრებენ. დამნაშავეენი კი ხალხის სამსჯავროს წარუდგებიან.

ამნისტიის შესაბამისად პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების თარიღი, ბაბრაკ ქარმალის თქმით, მალე განისაზღვრება. ამის შესახებ გამოაცხადებს რადიო და პრესა.

1978 წლის აპრილის რევოლუციისთანავე ჩვენი ქვეყნის მთავრობამ არაერთგზის სთხოვა საბჭოთა კავშირს დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარებაც, თქვა შემდეგ მინისტრმა. ამ დახმარებასა და მხარდაჭერას ჩვენ დიდად ვიფასებთ და საბჭოთა ხალხსა და მთავრობას ამისათვის უდიდეს მადლობას მოვახსენებთ.

მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ეს დახმარება მიზნად ისახავს ჩვენი ხალხის ბრძოლის მხარდაჭერას ავღანეთის გარშე მტრების ხრიკების, გარედან ჩარევისა და პროვოკაციების წინააღმდეგ, რომლებიც გრძელდება და ფართოვდება.

შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, 28 დეკემბერს აპრილის რევოლუციის მონაპოვრების, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის, მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების მიზნით სსრ კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის 1978 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ვთხოვეთ საბჭოთა კავშირს გაეწია სასწრაფო პოლიტიკური, მორალური, ეკონომიკური, სამხედრო დახმარება.

მაშ ვინ ემუქრება ავღანეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს? რევოლუციის გამარჯვებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი სისტემატურად უჭერდნენ მხარს კონტრრევოლუციურ ძალებს, თქვა შემდეგ შ. მ. დოსტმა. ამ ბოლო დროს ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა. შეიარაღებული კონტრრევოლუციური ბანდების მომზადების პლაცდარმი გახდა ავღანეთ-პაკისტანის საზღვრებთან მდებარე რაიონები.

არსებობს უცილობელი დადასტურება იმისა, რომ სამშობლოს მოღალატენი მომზადებას გადიან არა მარტო ცენტრალური საადაზვერვო სამმართველოს აგენტების ხელმძღვანელობით, ჯრამედ ჩინეთის სინძიანის პროვინციის ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებშიც.

შეეხო რა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, შ. მ. დოსტმა განაცხადა: განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს, რომ წინანდელივით მტკიცედ დავიცავთ მიუმხრობლობის პოლიტიკის პრინციპებს. ამასთან ამერიკის იმპერიალიზმის განუწყვეტელი მეცადინეობის შესაბამისად შეასრულოს მსოფლიო ჟანდარმის როლი, აგრეთვე პეკინის ხრიკების გამო, რომლებიც მიზნად ისახავენ დამოუკიდებელი განვითარებადი სახელმწიფოების ერთიანობისა და შეკავშირებისათვის ძირის გამოთხრას, ავღანელი ხალხი მოითხოვს, რომ არავინ არ ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში.

პენ სოვანის ინტერვიუ

პნომპენი, 7 იანვარი. კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტისა და კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს მიერ არჩეული პოლიტიკური კურსის სისწორის მთავარი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ სრული მარცხი განიცადა ჩინელი ექსპანსიონისტების, ამერიკელი იმპერიალისტებისა და საერთაშორისო რეაქციის ყველა ცდამ პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური აქციების მეშვეობით ჩაეხშოთ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა—განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა პენ სოვანმა.

პეკინელი მმართველი წრეები, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კამპუჩიის სოციალიზმის გზით განვითარებისათვის, თქვა შემდეგ პენ სოვანმა, იმედს ამყარებდნენ პოლ-პოტის განადგურებული ბანდების ნარჩენებზე, რომელთა რიგებში მაშინ ჯერ კიდევ 65-70 ათასი კაცი იყო. ესენი იმალებოდნენ ძნელადმისაწვდომ მთის რაიონებში. ჯუნგლებში პოლპოტელებმა ჩინელი „ინსტრუქტორების“ მეშვეობით შექმნეს ბაზები, სადაც ჰქონდათ ჩინეთის მიერ მოწოდებული დიდძალი იარაღი, სამხედრო ტექნიკა და სურსათი. მაგრამ რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა მოსახლეობის აქტიური დახმარებით მოკლე დროში განადგურეს მტრის საყრდენი პუნქტები. პოლპოტელებმა წარმატების უკანასკნელი იმედი დაკარგეს და ტაილანდის სასაზღვრო რაიონებში გაიქცნენ.

თვით კამპუჩიაში პოლპოტელების „დაქსაქსულმა ბანდებმა თავი შეაფარეს ზოგიერთ შორეულ ტყის რაიონებს. ისინი თავს არიდებენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებებს და იარაღს იყენებენ მშვიდობიან მცხოვრებლებზე თავდასხმებისა და მათი ძარცვისათვის. ამჟამად ამ რაიონებში ხორციელდება ბანდიტების ლიკვიდაციის ოპერაციები.

თავიანთ პოლიტიკაში, აღნიშნა დასასრულ პენ სოვანმა, კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტი და კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭო ეყრდნობიან მარქსის, ენგელსის, ლენინის დიად მოძღვრებას, კამპუჩიელი ხალხი, რომელიც აღადგენს თავის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს, განამტკიცებს საბრძოლო სოლიდარობას საბჭოთა კავშირის, ვიეტნამისა და ლაოსის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხებთან.

ტოკიო. „იაპონიიდან ჩამოხვედი, შვილო? რამდენი წლისა ხარ? ოცდათვრამეტის? ჯერ სულ ახალგაზრდა ყოფილხარ!“ — ამ სიტყვებით მიესალმა სტუმარს იაპონელ კომუნისტთა გაზეთ „აკაჰატას“ კორესპონდენტს სსრ კავშირის ერთ-ერთი უხუცესი მოქალაქე 110 წლის ქერომ ხარაჯია.

„აკაჰატას“ კორესპონდენტი კ. მიძეონ გასული წლის დასასრულს ეწვია აფხაზეთს, სადაც ხვდებოდა ცნობილ საბჭოთა გეოლოგოლოგებს, ადგილობრივ დღეგრძელებს. 1979-ის საახალწლო დღეებში გაზეთმა გამოაქვეყნა რეპორტაჟი მისი მოგზაურობის შესახებ.

დღეგრძელობის საიდუმლოება

სსრ კავშირში 20 ათასზე მეტი კაცია, რომლებმაც უკვე მეაღწიეს ან გადააბიჯეს 100 წელს. განსაკუთრებით ბევრი დღეგრძელი ცხოვრობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და, კერძოდ, აფხაზეთში. სასიკეთო კლიმატი, სუფთა ჰაერი, ტყეები და პარკები თავისთავად ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისათვის. მაგრამ დღეგრძელობის მიზეზი მარტო კარგი კლიმატური პირობები როდია.

„მაშ რა არის დღეგრძელობის საიდუმლოება?“ — ამ კითხვით მიმართა იაპონელმა ჟურნალისტმა ქ. ხარაჯიამ, როცა შინ ეწვია სოხუმიდან 17 კილომეტრზე მდებარე მთის პატარა სოფელში.

„განსაკუთრებული საიდუმლოება არ არსებობს. ვცდილობდი ბევრი არ მეჭამა, უფრო მეტად ვეტანებოდი ბოსტნეულს. აქტიურად ვმუშაობ მინდორში, შინაც, მთავარი მიზეზია ის, რომ ჩემი ცხოვრება მშვიდად მიმდინარეობს, არაფერზე არ მიხდება ნერვების მოშლა“

საკდესის განცხადება

ამერიკის ტელევიზიით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის 4 იანვრის გამოსვლასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ყურადღება მიიპყრო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამ განცხადებამ. იგი ძირითადად განმსჭვალულია „ცივი ომის“ ფრაზეოლოგიითა და სულისკვეთებით. მასში მოკიმული პოლიტიკური შეფასებანი და ამერიკის ადმინისტრაციის დასახული პრაქტიკული ღონისძიებანი საერთაშორისო ასპარეზზე იმით გამოირჩევა, რომ მოკლებულია წონასწორობას, უგულებელყოფს მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის კონსტრუქციული განვითარების ძირეულ ხანგრძლივ ინტერესებს. ეს გამოსვლა ვერაფრით ვერ ეთანხმება იმ პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც დიდ სახელმწიფოს, საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა ურთიერთსასარგებლო მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა აღვივებს ამერიკის შეერთებული შტატების იმ წრეების ვნებათა ღელვას, რომლებსაც დიდი ხანია არ მოსწონთ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. იგი მოგვაგონებს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სახელმწიფო პოსტის მპყრობელი პირის, არამედ უფრო ამ პოსტის კანდიდატს გამოსვლას, რომელიც წინასაარჩევნო ბრძოლის მორიგ ტურს იწყებს. როგორც ყველაფრიდან ჩანს, წინასაარჩევნო ხასიათის მოსაზრებებს, შოვინისტურად განწყობილი წრეებისათვის ბანის მიცემას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს პრეზიდენტის მთელ გამოსვლაში.

ამ გამოსვლის კონკრეტულ შინაარსს და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარგში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის გამოცხადებულ ღონისძიებებს სხვანაირად ვერ შეფასებენ, თუ არა როგორც მტრულს მშვიდობის ინტერესებისადმი.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მეთაურის ამ გამოსვლის ღამის მთავარ საბაბად არჩეულია ამ ბოლო ხანს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომხდარი ამბები. ყოველ პასუხისმგებელ პოლიტიკოსს, თუ იგი საღად აზროვნებს, ესმის, რომ ავღანელ ხალხს და მხოლოდ მას და არა სხვა ვინმეს, აქვს უფლება განსაზღვროს თავისი შინაური განვითარების გზები და ის, თუ როგორ, გაგოს თავისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია სხვა რამეს ჩიმღერობს. იგი, როგორც პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, ცდილობს უარყოს ავღანელი ხალხის ასეთი უფლება და უხეშად ჩაერიოს ავღანეთის საშინაო საქმეებში. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ეკრეთ წოდებული ავღანეთის მდგომარეობის საკითხის დაყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, რაც არამართალზომიერია და იწონაღმდეგება ავღანეთის სუვერენული სახელმწიფოს ხალხისა და მთავრობის ნთლად გამოხატულ ნება-სურვილს.

პრეზიდენტის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე ირანის საქმეებს. პრეზიდენტი ცდილობს ამერიკის ირანთან საელჩოს თანამშრომელთა დაკავების ფაქტი გამოიყენოს საბჭოთა კავშირის მეზობელი ირანის წინააღმდეგ შანტაჟისა და მუქარისათვის. იქვე როგორც ბევრმა სხვა ქვეყანამ, სსრ კავშირმა, როგორც ცნობილია, უკვე გამოხატა თავისი პოზიცია იმის მიმართ, რომ საჭიროა ყველა საელჩოწიფო იცავდეს ვენის კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე და ირან-ამერიკის დავა მოწესრიგდეს მშვიდობიანი საშუალებებით. მაგრამ თუ ამერიკის მხარის მოქმედებითა და პრეზიდენტის 4 იანვრის განცხადებით ვიმსჯელებთ, ამერიკის შეერთებული შტატები ამბობენს სხვა საშუალებებს, კერძოდ, ცდილობს ეკონომიკური ბლოკადა დაუწესოს ირანს. ვაშინგტონს აშკარად გულზე არ ეხატება ირანელი ხალხის რევოლუცია და მისი განზრახვა წინააღუდგეს მუქარისა და დიქტატის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ისმება კითხვა, საკმაოდ ითვალისწინებენ თუ არა ვაშინგტონში, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ირანის ეკონომიკური ბლოკადის დამყარების, მასზე ზეგავლენის მოხდენის ცდას, ვის უფრო დიდ ზიანს მიაყენებს ეს პოლიტიკა?

შემთხვევითი არ არის, ალბათ, რომ პრეზიდენტი არაფერს ამბობს ევროპის საქმეებზე, იმ რაიონზე, სადაც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ძლიერ და შინაარსიანად განვითარდა დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ტენდენცია. ამავე დროს „დუმილის ფიგურა“, რომელიც, ალბათ, აგრეთვე ნაკარნახევია წინასაარჩევნო ხასიათის მოსაზრებებით, ვერ მიჩქმალავს იმ ფაქტს, რომ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს-ეს არის ნატოს ბლოკის მეშვეობით თავს მოახვია დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებს გადაწყვეტილება ამ კონტინენტის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს, და დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის დედაქალაქებში უფიქრდებიან ამის შედეგებს.

თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა მთელი რიგი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის კავშირურთიერთობის დარგში. საქმე ეხება ამერიკის მხარის მოქმედების გამო ისედაც შეზღუდული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობისა და კულტურული გაცვლის შემცირებას, კერძოდ, იმასაც, რომ ხელი შეუშალონ ამერიკული მარცვლეულის შესყიდვის შესახებ დადებული კონტრაქტების სრული მოცულობით რეალიზაციას. საეჭვოა, რომ ამგვარ ღონისძიებებს მოწონებით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო წრეებში, რომლებსაც არაერთხელ გამოუხატავთ თავიანთი დაინტერესება საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობით, მასთან საქმიანი კავშირურთიერთობის გაფართოებით, რაღაგან სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს თვით შეერთებული შტატებისათვის არის სასარგებლო.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას არასოდეს არ უთხოვია ასეთი კავშირურთიერთობის დამყარება, მაგალითად სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ დარგებში. იგი მუდამ ხაზს უსვამდა, რომ ამა თუ იმ კავშირურთიერთობის განვითარება, ისევე როგორც მთლიანად სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კარგი ურთიერთობის უზრუნველყოფა, — ეს ნაცვლადების საქმეა. მაგრამ თუ თეთრ სახლში განუზრახავთ როგორღაც გავლენა მოახდინონ საბჭოთა კავშირზე, მის საგარეო პოლიტიკაზე, ეს უიმედო საქმეა. ასეთი ცდები წარსულშიც ჩაფუშულა და ახლაც ჩაიფუშება.

მთლიანად პრეზიდენტის განცხადება ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ იგი მოკლებულია პოლიტიკურ წონასწორობას, რეალურად არ ითვალისწინებს საერთაშორისო ვითარებას, გადაჭარბებით აფასებს შეერთებული შტატების რეალურ შესაძლებლობებს და აშკარად ვერ აფასებს იმ სახელმწიფოთა შესაძლებლობებს, რომელთა მიმართ ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკის გადადგას ესა თუ ის ნაბიჯი, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ საბჭოთა კავშირი შეძლებს დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, თავისი მოკავშირეებისა და მეგობრების ინტერესები. ამას, ვისაც სურს, უგულებელყოს ყოველივე ეს, ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუცურდეს პოლიტიკაში და მეტი ენერგია მიაყენოს საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს, ვიდრე იმათ, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ესა თუ ის ნაბიჯი.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში სურთ იმედი იქონონ, რომ გონივრული, წინდახედული მიდგომა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისადმი, კერძოდ მშვიდობის შენარჩუნების ღონისძიებებისადმი, საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენი საუკუნე გიცავს, უახლესი!..



პატრონი, ს. თევზაძის ფოტოეტიუდი.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲫᲔᲒᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲐ— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲘᲒᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ!

ᲒᲝᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ:

ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲗ, ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲒᲕᲘᲒᲘᲗ!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მდგარ საქართველოს სახელმწიფოდ შემორჩა კულტურის უამრავი ძეგლი, ეროვნული ენერგიისა და ხალხის ნიჭის ნათელი გამოსახულება.

საქართველოს ყველა კუთხეშია გასაოცარი, ხელთუქმნელი ძეგლები. ამ მხრივ არც გორია გამონაკლისი, ანტიკური უფლისციხე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ტანას ხეობის მშვენება — VII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი — ატენის სიონი, თვით გორის ციხე—ქართლის სიმტკიცის სიმბოლო, საორბისის ეკლესია, გორიჯვარი, ერეკლეს აბანო, წმინდა გიორგის ეკლესია არბოში...

ქალაქ გორისა და გორის რაიონის მშრომელები — ძეგლის მეგობრები — ვეხმარებით კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს, ვიხდით იურიდიულ და ინდივიდუალურ საწევრო ანარიცხებს, ვიღებთ შეწირულობებს ძეგლთა აღდგენისათვის, მხარში ვუდგავართ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოყენების და რესტავრაციის მთავარ სამმართველოს, სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს ატენის სიონში, კეთილმოვაწყეთ გორის ციხის ჩრდილოეთი მისადგომი, ბევრმა ორგანიზაციამ იკისრა კულტურის ძეგლების შეფობა; გამოვაცხადეთ კონკურსი: „თუ ძეგლის მეგობარი ხარ“, შევქმენით გორის ციხის სიმბოლური გასაღები, შესაძლებლობის ფარგლებში ვახდენთ ძეგლთა ადაპტაციას, ყოფილი კათოლიკური ეკლესიის შენობა გადავაქცეთ ახალგაზრდა შემოქმედთა ცენტრად.

მაგრამ, გასაკეთებელი კვლავაც ბევრია. ბევრი ეკლესია და ტაძარი უპატრონოს შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე, ხავსმოდებულ კედლებზე ისევ ვხვდებით „ავტოგრაფებს“, კომკავშირული აქტივი ვერ იჩენს ასეთი ახალგაზრდებისადმი პრინციპულ დამოკიდებულებას, სასოფლო საბჭოებს ჯერ კიდევ არა აქვთ მთელი გულისყური ძეგლებისაკენ, ჭარბი შემოსავლიდან ძუნწად ვხარჯავთ სახსრებს კულტურის ძეგლთა აღსადგენად თუ შესაკეთებლად, ბევრგან ვერ გამოვცვალეთ დაუანგული ფირფიტა-წარწერა.

კულტურის ძეგლთა მეგობრების საქალაქო და რაიონულ გაერთიანებულ კრებაზე დავსახეთ ამოცანები, რომ შევაკეთებთ გორის ციხეს, მემორიალურ დაფას გავუკეთებთ ერეკლეს აბანოს, შევცვლით წარწერა-გადაშლილ და დაუანგულ ფირფიტებს, გავაგრძელებთ საშეფო ხელშეკრულებების გაფორმებას, კონკურსებში ჩავაბამთ უფრო მეტ ორგანიზაციასა და დაწესებულებას, ვითანამშრომლებთ უურნალ „ძეგლის მეგობარში“, დავეხმარებით გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გუდაბერტყია-ციხე გორაზე არქეოლოგიური გათხრების გაგრძელებაში, სისტემატურად განვიხილავთ საქალაქო, რაიონულ, სადაბო, სასოფლო საბჭოების სხდომებზე კულტურის ძეგლთა მდგომარეობის და მათი დაცვის საკითხებს.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩავებით დიდ ლაშქრობაში კულტურისა და ისტორიის ძეგლთა გადასარჩენად! ძეგლი ხომ ცოცხალი წინაპარია. მოგიწოდებთ მივცეთ მხარი მხარს, ვაცოცხლოთ და გავამაგროთ ჩვენი დიდებული წარსულის მოწმენი. ეს ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის მოვალეობაა.

ველით თქვენს გამოხმაურებას!

გორისა და გორის რაიონის ძეგლის მეგობრები.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲨᲔᲤᲔᲑᲔ

ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირელთა თაოსნობა, — მათ ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად საშეფოდ აირჩიეს საფარის სამონასტრო კომპლექსი.

თავდაპირველად ახალგაზრდებმა გადაწყვეტეს მონასტრის გალავნის გაწმენდა, რომელიც ათასგვარი ნაჩხავნებით იყო აჭრელებული.

ყველამ მონდომებით იშრომა; ესენი იყვნენ საწარმოო განყოფილების ინჟინერი გ. ქაფიანიძე, საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი კ. საღარეიშვილი, საამარტო საამქროს ამგრეველი უბნის ოსტატი ზ. ბაქრაძე, კომკავშირის კომიტეტის სექტორის გამგე მ. ბასლაია, საშეფო საქმის თავკაცი გ. ტაბატაძე, საამარტო საამქროს ზეინკალ-სანტექნიკოსი ა. ბოცხრიკიძე, მომარაგების მუშაკი ტ. სერგია, ზეინკალი გ. წამალაშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგები ე. ბიათაშვილი და ი. ყარაპეტიანი, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. დოლიძე, რომელიც მთელი ოჯახით წამოსულიყო საერთო საქმეზე.

ეს იყო ელმავალმშენებელ კომკავშირელთა და თანამშრომელთა პირველი ლაშქრობა საშეფოდ აღებულ საფარის სამონასტრო კომპლექსზე. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ესტუმრნენ ისინი საფარას.

გვჯერა, ქარხნის კომკავშირელები მომავალშიც ბევრს გააკეთებენ ამ მხრივ და სხვა წამოება-დაწესებულებათა ახალგაზრდებიც მიბაძავენ მათ კეთილშობილურ, უანგარო საქმიანობას.

Ჯ. ᲙᲔᲜᲭᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის მასობრივი სექტორის გამგე.

● ●

ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔ ᲐᲕᲔᲢᲧᲕᲔᲚᲓᲐ

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო შეფობს უწევს სამშვილდის ნაქალაქარის კომპლექსს თეთრიწყაროს რაიონში.

1978 წლის სექტემბერში ჩვენი თანამშრომლების ერთი ჯგუფი ძეგლთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო კომპლექსს, შეადგინეს მუშაობის გეგმაც. მომდევნო კვირას პირველი ბრიგადა უკვე შეუდგა მუშაობას. დაიწყეთ კომპლექსის ტერიტორიის გაწმენდა. შემდეგ ციხის გალავანი და ამბანოები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის სასახლეები, სამნავიანი ბაზილიკა და დარბაზული ეკლესია გაიწმინდა, გალამაზდა, ახლებურად ამეტყველდა.

დღეისათვის ყველა ძეგლი მომზადებულია სარესტავრაციოდ, რაც წელს უნდა დაიწყონ. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს გაზაფხულიდან რესტავრატორებთან ერთად ვიმუშაოთ, ხოლო შემდეგ თეთრიწყაროს რაიონის სატყეო მეურნეობასთან ერთად ტერიტორია ნარგავებით გავამწვანოთ.

შარშან, 21 ოქტომბერს ჩვენი თაოსნობით, თეთრიწყაროს რაიკომის, აღმასკომის, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს და ძეგლთა დაცვის საზოგადოების მხარდაჭერით მოეწყო დიდი სახალხო დღესასწაული „სამშვილდეობა“, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება.

Ი. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს პარტიული კომიტეტის მდივანი.

● ●

ᲐᲜᲗᲘᲔᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკური დარგობრივი გამოთვლითი ცენტრი ახალგაზრდული ორგანიზაციაა. აქ მუშაობს 140 თანამშრომელი, რომელთა უმრავლესობა უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონეა.

ბუნებრივია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

განა შეგვეძლო გულგრილად გვეფიქრებინა თვალი, თუ როგორ დაიწყო ამ მიმართულებით დიდი პატრიოტული მოძრაობა, რომ საგარეჯოში ხანდაზმული პედაგოგების ოჯახმა საკუთარი დანაზოგიდან გაიღო ერთი ოჯახისათვის არცთუ მცირე თანხა კულტურის ძეგლთა დაცვა-აღდგენის სამუშაოებისათვის, ჩამოყალიბდა კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, ბანკში გაიხსნა ანგარიში, რომელზეც ყველა მსურველს შეუძლია შეიტანოს თანხა, რომელიც ამ საპატიო საქმეს მოხმარდება; კიბერნეტიკის ინსტიტუტი იწყებს მეხსიერთ-ჯავახეთში მიტოვებული სოფლებისა და ტერასებიანი ბაღების აღდგენის სამუშაოებს და ა. შ.

სიმართლე გითხრათ, ჩვენც აგვანთო სურვილმა, მხარი აგვება ამ მამულიშვილური მოძრაობისათვის. აღარ დავაყოვნეთ, შევქმენით ძეგლთა დაცვის საზოგადოების ჩვენი პირველადი ორგანიზაცია, გადავწყვიტეთ V საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლის ქაფარეთის სამების რესტავრაცია. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდების საფუძველზე ჩვენი პირველადი ორგანიზაციის წესდებაც კი შევიმუშავეთ. გარდა ძეგლის შეფობისა, გადაწყდა შეგვექმნა ფულადი ფონდი (თითოეულმა წევრმა თვეში უნდა შეიტანოს 1 მანეთი), რომელიც საშეფო სამუშაოებს მოხმარდება.

ქაფარეთის სამების აღდგენა უკვე დაიწყო და ჩვენც უმეტესად შაბათ-კვირაობით ჩავდივართ და ვეხმარებით რესტავრატორებს.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ის დიდი ყურადღება, რომელსაც საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობა იჩენს ძეგლის რესტავრაციის მიმართ, იქნება ეს მისასვლელი გზის ოპერატიულად შეკეთება, მასალების გადასაზიდად ტრანსპორტის გამოყოფა თუ სხვა რამ.

წინ დიდი სამუშაო მოგველის. ჩვენს მონდომებასა და ენთუზიაზმზეც ბევრია დამოკიდებული.

Ზ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ,

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკური დარგობრივი გამოთვლითი ცენტრის მთავარი ინჟინერი.





ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲜ — ᲛᲔᲡᲘᲢᲐ, ᲡᲝᲤᲝᲔᲚ ᲚᲐᲤᲐᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ; ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲜᲐᲭᲚᲐᲚᲐᲥᲐᲠᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲣᲧᲐᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲜᲡ.

ᲔᲠᲗᲘᲗᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲘᲡ ინსტიტუტის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივთან ერთად შეფობას უწევს ხერთვისის ციხეს. 1979 წელს საშეფო მუშაობის სახით ინსტიტუტში ჩატარდა არაერთი ღონისძიება:

...გახსნილია „ხერთვისის“ ფონდი. დღეისათვის თანამშრომლთა მიერ შენაწირი სახით შეგროვებული და გადარიცხულია 2113 მანეთი. შენაწირის შეგროვება გრძელდება.

...გასული წლის 8 ივლისიდან 19 აგვისტომდე ინსტიტუტის 60-მდე თანამშრომელმა იმუშავა ხერთვისის ციხის აღდგენის სამუშაოებზე.

დროის ამ მონაკვეთში ძირითადად სრულდებოდა მიწის სამუშაოები. ციხის ორი დარბაზიდან და ციხის მიდამოებიდან ჩვენს მიერ ამოღებულია 630 კუბური მეტრი მიწა და გატანილია ციხის გარეთ. მიწიდან გამოვარჩიეთ 60 კუბური მეტრი ჩამონგარევი ქვლის საშენი ქვა და შევავროვეთ ქვლების აღდგენითს სამუშაოებზე გამოსაყენებლად. გაწმენდის შედეგად გამოჩნდა სამეურნეო და საცხოვრებელი ოთახების ნაშთები. გაიჭრა რამდენიმე სასინჯი ტრანშეა ძეგლის არქიტექტურული შესწავლის მიზნით.

საზოგადოების წევრები მომავალშიც ასეთივე ენთუზიაზმით გააგრძელებენ მუშაობას ხერთვისის აღდგენაზე.

Გ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ,

საზოგადოების თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სამოქალაქო თავდაცვის აქტივისტებს...

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის აქტივის თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

რესპუბლიკაში სამოქალაქო თავდაცვის მდგომარეობისა და შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ი. ხარიტონაშვილმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ — საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის უფროსმა ზ. პატარიძემ.

სამოქალაქო თავდაცვის სრულყოფის საქმეში მაღალი მაჩვენებლებისათვის „სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის საპატიო ნიშანი“ გადაეცა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს გ. გადელიას, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივანს მ. მეზვრიშვილს, თეთრიწყაროსა და საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მ. დალაქიშვილს, გ. მჭედლიშვილსა და სხვებს.

საპატიო ნიშნები გადაეცათ აგრეთვე საბჭოთა არმიის ვეტერანებს—გადამდგარ გენერალ-მაიორს პ. აბრამიძეს, თადარიგის პოლკოვნიკს დ. კანანოვსა და სხვებს. სამოქალაქო თავდაცვის ბევრი აქტივისტი დაჯილდოვდეს „სამოქალაქო თავდაცვის წარჩინებულის“ ნიშნით. აშარის ასს რესპუბლიკას მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲠᲐᲖᲛᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ-ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲠᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲪᲘᲜᲘᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ Ო. ᲗᲐᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Რ. ᲮᲕᲘᲩᲘᲐ, Გ. ᲞᲐᲞᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ. ᲠᲐᲖᲛᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ Მ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲠᲐᲖᲛᲘᲡ „ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘᲡ“ ᲮᲘᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ.

„ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ“

ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესებათა შესახებ“, საქართველოს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით შეიქმნა ძეგლის მეგობართა რაზმი „აღმაშენებელი“. რაზმს ხელმძღვანელობას უწევს პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი. მათ შორის არიან უფროსი მეცნიერი მუშაკები ო. თაბუაშვილი, რ. ხვიჩია, გ. პაპავა და ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ხვადაგიანი. რაზმში რამდენიმე ათეული სტუდენტია გაერთიანებული და 1978 წლის დეკემბრიდან არსებობს.

ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ საშეფოდ გამოგვიყო თეთრიწყაროს რაიონში მდებარე ტბისის სამონასტრო კომპლექსი (სოფ. ტბისი), კომპლექსის შემადგენლობაში შედის ტბისის ეკლესია გალავნითურთ, რომელიც 1683 წელს არის აშენებული.

რაზმმა გაიყვანა ნახევარი კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა და გადასასვლელი ბოგირი, მთის ფერდობზე გამოვქერით და გავამაგრეთ რამდენიმე ასეული კიბის საფეხური, გავწმინდეთ შიდა და ახლომახლო ადგილები, გავამაგრეთ ძეგლის დაზიანებული ნაწილები. ამ სამუშაოების შესრულებაში დიდი დახმარება გაგვიწია „წყალმშენის“ ტრესტის მე-5 სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ა. ებრალიძემ, მისი სტაჟია ძეგლების დაცვა, რესტავრირებაა.

დახმარებას გვიწევენ ხოლმე ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების გამგე ლ. ვარდოსანიძე და განყოფილების თანამშრომლები ქ. ჩიხაძე, გ. ჯიშკარიანი და ბ. კუპრეიშვილი.

რაზმის წევრთა დახმარებით არქიტექტორ-რესტავრატორმა ქ. ჩიხაძემ უკვე დაასრულა ძეგლის სარესტავრაციო პროექტისათვის საჭირო სამუშაოები.

მუშაობაში თავი გამოიჩინეს ა. ხვადაგიანმა, ბ. დვალიშვილმა, ა. ვეფხეულმა, ი. შავლაყაძემ, ზ. ყალიჩავამ, გ. ჩორგოლაშვილმა, ნ. ქვანტიანმა, ბ. მაისურაძემ და სხვა სტუდენტებმა.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს გეგმით ტბისის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია გათვალისწინებულია 1980 წელს.

ფოტოინფორმაცია



ცხინვალის ქარხანა „ემალსადენში“ უშვებენ ფართო მოხმარების საქონელს, შექმნილია სუვენირების დამამზადებელი სპეციალური საამქრო.

სურათზე: ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ სუვენირების საამქროს მოწინავე მუშა ლ. კარაპეტოვა ოლიმპიური დათუნიას დამზადებისას.

ᲞᲘᲢᲐᲗᲣᲠᲐ დღეს. ნიკოპოლის ქუჩა (მარჯვნივ).

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲠᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲕᲜᲘᲡ

— ვინ დამაძალაო! ვინა და, ამ ჩვენი დიდებული უკრაინელი მეგობრების (სიყვარულმა, — დასძინა ცხონებულმა.

რა თქმა უნდა, ჩვენი დიალოგი ითარგმნა. ალექსანდრე პრილიკო